

შესავალი კურსი მიკროეკონომიკაში

# ანტიტრასტული პოლიტიკა და რეგულაციები


კვირა 11

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

# რატომ არსებობს რეგულაციები ბაზარზე?

ეს ნაწილი გადაიქცევა მომხმარებლის დანაზოგიდან მონოპოლიის/ მწარმოებლის დანაზოგად

კეთილდღეობის დანაკარგი მონოპოლიის არსებობისას



შევადართოთ ერთმანეთს ფასი და რაოდენობა მონოპოლიისა და სრულყოფილი კონკურენციის ბაზრებზე;

მონოპოლიური ტენდენციები ბაზარზე და არაეფექტიანობის არსებობა იწვევს რეგულაციების საჭიროებას;

# რატომ არსებობს რეგულაციები ბაზარზე?

## რეგულაციები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს:

### 1. ეკონომიკური რეგულაცია -

სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო აკონტროლებს ფირმების მიერ დაწესებულ ფასს და ფირმების ინდუსტრიაში შესვლას.

### 2. სოციალური რეგულაცია -

მაგალითად, გარემოს დაცვა ან ეკოლოგიაზე ზრუნვა.

### 3. ანტიტრასტული კანონმდებლობა -

რეგულაცია, რომ შეუშალო ხელი იმ ფირმებს, რომელთაც მონოპოლიური ძალაუფლება აქვთ. ხელს უშლი მათ ჩამოყალიბებას, ან უკვე ჩამოყალიბებულს ანაწევრებ, შეთქმულება და ფასის დაფიქსირება უნდა აირიდო თავიდან;

### 4. ფინანსური ფირმების რეგულაცია;


# რეგულაციის მაგალითი

---

სემეკი - რეგულატორი


საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია -  
ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება

# მაგალითი - რეგულაცია ბუნებრივი მონოპოლიისთვის



დავუშვათ MC მუდმივია.  
დააკვირდით, რომ ATC სულ იკლებს - რატომ?  
იმიტომ, რომ  $MC < ATC$  ყველგან

# მაგალითი - რეგულაცია ბუნებრივი მონოპოლიისთვის



მარეგულირებელს შეუძლია 3 სახის ფასის კონტროლი:

## 1. ზღვრული ფასებით ფასდადება

- $P=MC$ ,
- კეთილდღ. დანაკარგი (DWL) არაა და ეფექტიანია
- $P <$  მონოპოლიურ ფასზე
- მაგრამ ეკ. მოგება უარყოფითია  $P < ATC$

## 2. საშ. მთლიანი ხარჯებით ფასდადება -

- $P=ATC$
- ეკ. მოგება ნულის ტოლია  $P = ATC$
- $P <$  მონოპოლიურ ფასზე

## 3. ნახალისების სტიმულირების მექანიზმი-

ფასი წესდება რამდენიმე წლით და ფიქსირებულია

# მაგალითი - რეგულაცია ბუნებრივი მონოპოლიისთვის

მარეგულირებელს შეუძლია 3 სახის ფასის კონტროლი:

## 1. ზღვრული ფასებით ფასდადება

- $P=MC$ ,
- კეთილდღ. დანაკარგი (DWL) არაა და ეფექტიანია
- $P <$  მონოპოლიურ ფასზე
- მაგრამ ეკ. მოგება უარყოფითია  $P < ATC$

## 2. საშ. მთლიანი ხარჯებით ფასდადება -

- $P=ATC$
- ეკ. მოგება ნულის ტოლია  $P = ATC$
- $P <$  მონოპოლიურ ფასზე


## 3. წახალისების სტიმულირების მექანიზმი- ფასი წესდება რამდენიმე წლით და ფიქსირებულია

ამ ფასდადებამ შეიძლება არასწორი მოტივაცია გააჩინოს კომპანიებში - ცუდი მენეჯმენტი და ა.შ.

ეს ფასდადება კომპანიებს მოტივაციას აძლევს, რომ აკონტროლონ ხარჯები და იზრუნონ ხარჯების მინიმიზაციაზე

# მაგალითი - რეგულაცია ბუნებრივი მონოპოლიისთვის

ასევე არსებობს პრობლემა - შეიძლება ფირმამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდოს სახელმწიფოს თავის ხარჯებზე - ასიმეტრიული ინფორმაცია





# ანტიტრასტული კანონმდებლობა

---

- ოლოგოპოლია, მონოპოლია - საბაზრო ძალაუფლება;
- ანტიტრასტული კანონმდებლობა თავიდან ირიდებს ამ პრობლემებს - შეიძლება დაშალოს ფირმები ან შეთქმულება აირიდოს
- ამის 2 მიზეზი არსებობს:
  1. ფირმები ძალიან დიდები არ გახდნენ და არ ჩაიგდონ ხელში საბაზრო ძალაუფლება;
  2. უკვე არსებული შეთქმულება/გარიგებები აირიდონ

# ანტიტრასტული კანონმდებლობა

როგორ ითვლიან საბაზრო ძალაუფლებას?

**ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI)** ზომავს ბაზარზე კონცენტრაციის ხარისხს - აქვს თუ არა ცოტა ფირმას დიდი საბაზრო წილი

მაგალითად, ბაზარზე მხოლოდ 3 ფირმაა და მათი წილი შემდეგნაირადაა განაწილებული ბაზარზე:  
(30,30,40)

HHI ინდექსი დაითვლება, როგორც წილების კვადრატების ჯამი, ანუ

$$30^2 + 30^2 + 40^2 = 3400$$

რაც უფრო მაღალია HHI, მით უფრო კონცენტრირებულია ინდუსტრია

**წესი: აირიდე შერწყმა, თუ HHI > 1800**

*TBC და Bank Republic მაგალითი*

# ანტიტრასტული კანონმდებლობა

---

მაგალითი 2:

ბაზარზე მხოლოდ 3 ფირმაა და მათი წილი შემდეგნაირადაა განაწილებული ბაზარზე: (35,20,45)

დავუშვათ, 2 ფირმას სურს შერწყმა - პირველს და მესამეს წილებით 35% და 45%

ანუ ბაზარზე ახალი ფირმის წილი გახდება  $35+45 = 80\%$

გამოვთვალოთ HHI ახალ ბაზარზე:

$$80^2 + 20^2 = 6800 > 1800$$

დასკვნა ამ შერწყმას სახელმწიფო (ანტიტრასტული კანონი) ხელს შეუშლის